

## სენაკის რამდენიმე სოფელში წყალმომარაგების განახლებული ინფრასტრუქტურა მოეწყობა

წყალმომარაგების კომპანია რეგიონების მასშტაბით წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძობს. ამის შესახებ ინფორმაციას წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს. მათივე ცნობით, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ გოლასკურის, ზემო ჭალადიდის, ხორგიშისა და მიმდებარე უბნების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა. “გამარჯვებულმა კონტრაქტორმა კომპანიამ სამუშაოები 11 თვის ვადაში უნდა დაასრულოს. აღნიშნულ სოფლებში არსებული წყალმომარაგების ქსელი ამორტიზებულია, ხშირია დაზიანებები და მოსახლეობას წყალი გრაფიკით მიეწოდება. სამუშაოები წყალმომარაგების დაზიანებული ქსელის ახლით ჩანაცვლებასა და აბონენტების ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას ითვალისწინებს. პროექტის დასრულების შემდეგ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ გოლასკურის, ზემო ჭალადიდის, ხორგიშისა და მიმდებარე უბნების დაახლოებით 1000-მდე მცხოვრები გაუმჯობესებული წყალმომარაგებით ისარგებლებს”, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

### წყარო:

<https://www.interpressnews.ge/ka/article/621845-senakis-ramdenime-sopelshi-cqalmomaragebis-ganaxlebuli-inprastruktura-moecqoba>



## სენაკის რამდენიმე სოფელში წყალმომარაგების განახლებული ინფრასტრუქტურა მოეწყობა



წყალმომარაგების კომპანია რეგიონების მასშტაბით წყლის ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძობს. ამის შესახებ ინფორმაციას წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

მათივე ცნობით, სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ გოლასკურის, ზემო ჭალადიდის, ხორგიშისა და მიმდებარე უბნების წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობაზე ტენდერი გამოცხადდა.

“გამარჯვებულმა კონტრაქტორმა კომპანიამ სამუშაოები 11 თვის ვადაში უნდა დაასრულოს.

აღნიშნულ სოფლებში არსებული წყალმომარაგების ქსელი ამორტიზებულია, ხშირია დაზიანებები და მოსახლეობას წყალი გრაფიკით მიეწოდება.

სამუშაოები წყალმომარაგების დაზიანებული ქსელის ახლით ჩანაცვლებასა და აბონენტების ინდივიდუალურ გამრიცხველიანებას ითვალისწინებს.

პროექტის დასრულების შემდეგ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ გოლასკურის, ზემო ჭალადიდის, ხორგიშისა და მიმდებარე უბნების დაახლოებით 1000-მდე მცხოვრები გაუმჯობესებული წყალმომარაგებით ისარგებლებს”, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

კომპანიის ცნობით, პროექტის განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 მილიონ ლარზე მეტია გამოყოფილი.

# ინტერპრესნიუსი

6.10.2020

## წყალმომარაგების კომპანია ირწმუნება, რომ გორში წყალი დაბინძურებული არ არის

მას შემდეგ, რაც ბოლო დღეების განმავლობაში გორში არსებულ კლინიკებს ათეულობით ბავშვმა მონამგლის სიმპტომებით მიმართა და მოსახლეობას წყლის დაბინძურებაზე ეჭვი გაუჩნდა, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ქალაქში სასმელი წყალი შეამოწმა. კომპანია ირწმუნება, რომ გორში სასმელი წყალი დადგენილ ნორმებს აკმაყოფილებს. “წყალმომარაგების კომპანიამ ქალაქ გორში წყლის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლებით გაფართოებული კვლევა დაასრულა, რომლის შედეგების მიხედვითაც, გორში სასმელი წყალი სრულად აკმაყოფილებს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებს. წყლის სინჯები კომპანიის ლაბორატორიის მიერ კომბინატის დასახლების რამდენიმე ქუჩაზე იქნა აღებული”, – აცხადებს გაერთიანებული კომპანია. განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ წყლის სათავე ნაგებობა და საქლორატოროს მიმდებარე ტერიტორია შემოსაზღვრულია და სტანდარტების შესაბამისად არის დაცული. სწორედ ამ ტერიტორიიდან მიწოდება წყალი ქალაქის დიდ ნაწილს. ასევე, განცხადების მიხედვით, დაცულია სათავე ნაგებობა და საქლორატორო ობიექტების შიდა და გარე პერიმეტრებიც. ამასთან, გაერთიანებული წყალმომარაგების ცნობით, კომპანია ყოველდღიურად იღებს ქალაქის სხვადასხვა წერტილიდან წყლის სინჯებს და გასულ დღეებში სინჯების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სასმელი წყალი დადგენილ ნორმებს სრულად აკმაყოფილებს.

### წყარო:

<https://netgazeti.ge/news/487716/?fbclid=IwAR02F15b7AxVNPqWzYxyU6RQCFQfdhMsC-FT1uExK9KKTfJJZabdc61Ac>



slideshow, ახალი ამბები

სოფო აფრიაშვილი - 06.10.2020

წყალმომარაგების კომპანია ირწმუნება, რომ გორში წყალი დაბინძურებული არ არის



Technics

ისარგებლეთ ფასდაკლებით საქართველოს ბანკის ბარათით გადახდისას



მონონება 27

გაზიარება

მას შემდეგ, რაც ბოლო დღეების განმავლობაში გორში არსებულ კლინიკებს ათეულობით ბავშვმა მონამგლის სიმპტომებით მიმართა და მოსახლეობას წყლის დაბინძურებაზე ეჭვი გაუჩნდა, საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ ქალაქში სასმელი წყალი შეამოწმა. კომპანია ირწმუნება, რომ გორში სასმელი წყალი დადგენილ ნორმებს აკმაყოფილებს.

“წყალმომარაგების კომპანიამ ქალაქ გორში წყლის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლებით გაფართოებული კვლევა დაასრულა, რომლის შედეგების მიხედვითაც, გორში სასმელი წყალი სრულად აკმაყოფილებს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ ნორმებს. წყლის სინჯები კომპანიის ლაბორატორიის მიერ კომბინატის დასახლების რამდენიმე ქუჩაზე იქნა აღებული”, – აცხადებს გაერთიანებული კომპანია.

განცხადებაში ასევე აღნიშნულია, რომ წყლის სათავე ნაგებობა და საქლორატოროს მიმდებარე ტერიტორია შემოსაზღვრულია და სტანდარტების შესაბამისად არის დაცული. სწორედ ამ ტერიტორიიდან მიწოდება წყალი ქალაქის დიდ ნაწილს. ასევე, განცხადების მიხედვით, დაცულია სათავე ნაგებობა და საქლორატორო ობიექტების შიდა და გარე პერიმეტრებიც.

ამასთან, გაერთიანებული წყალმომარაგების ცნობით, კომპანია ყოველდღიურად იღებს ქალაქის სხვადასხვა წერტილიდან წყლის სინჯებს და გასულ დღეებში სინჯების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სასმელი წყალი დადგენილ ნორმებს სრულად აკმაყოფილებს.

## ოზურგეთის ცენტრალური უბნების ნაწილში წყლისა და წყალარინების ახალი სისტემები მოეწყობა

წყალმომარაგების კომპანია რეგიონებში წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოწყობას განაგრძობს, ამჯერად, ტენდერი ქალაქ ოზურგეთში, ცენტრალური უბნების ნაწილის წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობაზე გამოცხადდა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სამუშაოების ფარგლებში, წყალმომარაგების ძველი, ამორტიზებული მილგები ახლით შეიცვლება. ასევე, მოხდება მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება და მოეწყობა წყალარინების სატუმბო სადგური. პროექტის დასრულების შედეგად, დაახლოებით 120 ადამიანი წყლისა და წყალარინების განახლებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს. სამუშაოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება. „ტენდერში მონაწილეობის მსურველები წინადადებების წარდგენას 22 ოქტომბრიდან - 27 ოქტომბრის ჩათვლით შეძლებენ. გამარჯვებულმა კონტრაქტორმა კომპანიამ, სამუშაოები 7 თვის ვადაში უნდა დაასრულოს

### წყარო:

<https://www.interpressnews.ge/ka/article/623089-ozurgetis-centraluri-ubnebis-nacilshi-cqlisa-da-cqalarinebis-axali-sistemebi-moecqoba>

ოზურგეთის ცენტრალური უბნების ნაწილში წყლისა და წყალარინების ახალი სისტემები მოეწყობა



წყალმომარაგების კომპანია რეგიონებში წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის მოწყობას განაგრძობს, ამჯერად, ტენდერი ქალაქ ოზურგეთში, ცენტრალური უბნების ნაწილის წყალმომარაგება-წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობაზე გამოცხადდა. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სამუშაოების ფარგლებში, წყალმომარაგების ძველი, ამორტიზებული მილგები ახლით შეიცვლება. ასევე, მოხდება მოსახლეობის ინდივიდუალური გამრიცხველიანება და მოეწყობა წყალარინების სატუმბო სადგური. პროექტის დასრულების შედეგად, დაახლოებით 120 ადამიანი წყლისა და წყალარინების განახლებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს. სამუშაოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდება.

„ტენდერში მონაწილეობის მსურველები წინადადებების წარდგენას 22 ოქტომბრიდან - 27 ოქტომბრის ჩათვლით შეძლებენ. გამარჯვებულმა კონტრაქტორმა კომპანიამ, სამუშაოები 7 თვის ვადაში უნდა დაასრულოს.

ოზურგეთში წყალმომარაგების მოძველებული სისტემის გამო ხშირია დაზიანებები და მოსახლეობას წყალი შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება. რეაბილიტაციას საჭიროებს წყალარინების სისტემაც, - ნათქვამია ინფორმაციაში.

## თელას სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს

შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემებით და სარეაბილიტაციო სამუშაოებს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს, კახეთში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, თელას სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

როგორც “ინტერპრესნიუსს” გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, პროექტის ფარგლებში მოეწყობა სათავე ნაგებობა, დამცლელი კვანძი, ჭა ჰიდრანტით, გამშვები ნაგებობა შემტბორავით, დიუკერი, ფოლადის მილსადენი სიგრძით 2,1 კმ. გაიწმინდება მიწის არხის 3,2 კილომეტრიანი მონაკვეთი. ჩატარებული სამუშაოების შედეგად რეგულარულად მოიწვევა 195 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

“აღდგენილი საირიგაციო სისტემით სოფელ თელას მოსახლეობა ისარგებლებს.

პროექტის ღირებულება შეადგენს 852 000 ლარს.

### წყარო:

<https://www.interpressnews.ge/ka/article/623078-telas-sarcqavi-sistemis-reabilitacia-mimdinareobs>

## თელას სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს



შპს „საქართველოს მელიორაცია“ სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემებით და სარეაბილიტაციო სამუშაოებს უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს, კახეთში, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, თელას სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

როგორც “ინტერპრესნიუსს” გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან აცნობეს, პროექტის ფარგლებში მოეწყობა სათავე ნაგებობა, დამცლელი კვანძი, ჭა ჰიდრანტით, გამშვები ნაგებობა შემტბორავით, დიუკერი, ფოლადის მილსადენი სიგრძით 2,1 კმ. გაიწმინდება მიწის არხის 3,2 კილომეტრიანი მონაკვეთი.

ჩატარებული სამუშაოების შედეგად რეგულარულად მოიწვევა 195 ჰექტარზე მეტი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი.

“აღდგენილი საირიგაციო სისტემით სოფელ თელას მოსახლეობა ისარგებლებს.

პროექტის ღირებულება შეადგენს 852 000 ლარს.

საქართველოს მელიორაციის გენერალური დირექტორი დავით ნითლიძე მიმდინარე სამუშაოებს გაცნო და ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა, - ნათქვამია ინფორმაციაში.

## რუსთავში, მტკვარში მოზარდს ეძებენ

რუსთავში, რესტორან „მონოპოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარში 13 წლის მოზარდს ეძებენ.

საძიებო სამუშაოებში მებანძრე-მაშველები და მყვინთავები არიან ჩართული.

წინასწარი ინფორმაციით, მოზარდი მდინარეში ჯებირიდან გადავარდა.


როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, საძიებო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.


### წყარო:

<https://www.interpressnews.ge/ka/article/623116-rustavshi-mtkvarshi-mozards-ezeben>

რუსთავში, მტკვარში მოზარდს ეძებენ



 რუსთავში, რესტორან „მონოპოლის“ მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე მტკვარში 13 წლის მოზარდს ეძებენ.

 საძიებო სამუშაოებში მებანძრე-მაშველები და მყვინთავები არიან ჩართული. წინასწარი ინფორმაციით, მოზარდი მდინარეში ჯებირიდან გადავარდა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, საძიებო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.